საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

არაკომერციული ორგანიზაციების გამოკვლევის შედეგები

2023 წელი

01.10.2024
www.geostat.ge

01.10.2024

არაკომერციული ორგანიზაციების გამოკვლევის შედეგები 2023 წელი

(შედარებები გაკეთებულია ფაქტობრივ ფასებში)

არაკომერციული ორგანიზაციები წარმოადგენენ საქონლისა და მომსახურების მწარმოებელ იურიდიულ პირებს ან სოციალურ ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან ორიენტირებულნი ინსტიტუციური ერთეულებიდან მოგების ან ფინანსური კეთილდღეობის მიღებაზე.

არაკომერციული ორგანიზაციების პროდუქციის ძირითადი ნაწილი რეალიზდება უფასოდ ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებში. აღნიშნული არაკომერციული ორგანიზაციები იმყოფებიან თვითდაფინანსებაზე და სახსრებს ძირითადად იღებენ შემოწირულობებისა და საკუთარი წევრების შენატანების სახით. ისინი შემოსავლებს იღებენ აგრეთვე ორგანიზაციის კუთვნილი მატერიალური და ფინანსური აქტივებიდან. არაკომერციულ ორგანიზაციებს აქვთ დამხმარე კომერციული საქმიანობის უფლება.

დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, 2023 წელს არაკომერციული ორგანიზაციების ბრუნვის მოცულობამ დამხმარე კომერციული საქმიანობიდან 254.2 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 2022 წელთან შედარებით შემცირებულია 2 პროცენტით.

დიაგრამა №1

არაკომერციული ორგანიზაციების ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი



ბრუნვის მოცულობაში ყველაზე დიდი წილი მოდის განათლების (38.3 პროცენტი), ხელოვნების, გართობისა და დასვენების (22.9 პროცენტი), ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების (16.2 პროცენტი), სხვა სახის მომსახურების (7.4 პროცენტი), ინფორმაციისა და კომუნიკაციის (3.8 პროცენტი), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (3.0 პროცენტი), ასევე მშენებლობის (2.6 პროცენტი) სექტორის ორგანიზაციებზე.

2022 წელთან შედარებით ბრუნვის მოცულობა დაახლოებით 5.4-ჯერ გაიზარდა წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ნარჩენების მართვის სექტორში. ზრდის ტენდენციები გამოვლინდა ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობების სექტორში (43.6 პროცენტი), ასევე პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (42.1 პროცენტი), სხვა სახის მომსახურების (27.2 პროცენტი), საფინანსო და სადაზღვევო სექტორში (24.3 პროცენტი), ინფორმაციისა და კომუნიკაციის (3.6 პროცენტი), განათლების (2.3 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების სექტორებში (0.5 პროცენტი).

2023 წლის დეკლარირებული მონაცემებით, პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) გამოშვების მოცულობამ არაკომერციული ორგანიზაციების სექტორში 2 346.9 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 11.4 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

პროდუქციის გამოშვებაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩეოდა სხვა სახის მომსახურების (27.7 პროცენტი), ხელოვნების, გართობისა და დასვენების (18.3 პროცენტი), ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების (14.2 პროცენტი), განათლების (13.9 პროცენტი), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (11.7 პროცენტი), ასევე წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ნარჩენების მართვის (5.0 პროცენტი) სექტორები.

2023 წელს არაკომერციულ ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობამ 60.0 ათასი კაცი შეადგინა, საიდანაც 52.9 პროცენტი ქალია, ხოლო 47.1 პროცენტი კაცი. აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წელთან შედარებით 8.8 პროცენტითაა გაზრდილი.

01.10.2024

დიაგრამა №2

არაკომერციულ ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობა



დასაქმებულთა ყველაზე დიდი ნაწილი – 27.0 პროცენტი – განათლების სექტორის ორგანიზაციებზე მოდის, 24.3 პროცენტი - ხელოვნების, გართობისა და დასვენების სექტორის ორგანიზაციებზე, 13.6 პროცენტი - ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების, 13.3 პროცენტი - წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ნარჩენების მართვის სექტორზე, ხოლო დარჩენილი 21.8 პროცენტი სხვა სექტორებზე ნაწილდება.

2023 წელს დასაქმებულთაგან დაქირავებული იყო 59.7 ათასი კაცი. ამასთან, აღნიშნული მაჩვენებელი 10.2 პროცენტითაა გაზრდილი 2022 წელთან შედარებით.

01.10.2024

წყარო:

არაკომერციული ორგანიზაციების სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური)

შენიშვნა:

გამოკვლევის შედეგებში 2011 წლიდან 2013 წლის ჩათვლით ჩართულია სკოლამდელი დაწესებულებები (ბაგა-ბაღები), ფასიანი სწავლების გამო, რაც ბიზნეს რეგისტრის განახლებასთან ერთად, მაჩვენებელთა ზრდის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად გვევლინება

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge